ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**გ-49.492126713**
თარიღი:**24/09/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 89

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივლისის # გ-49. 49212117 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის უსახელო ქუჩისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ“,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 ივლისის 2021 წლის # გ-49.49212117 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:**

ა. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩისათვის, სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩის I ჩიხისათვის და სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩის I შესახვევისათვის ტრიფონ სულაკაძის სახელის მინიჭების შესახებ“.

ბ. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩას, **სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩის I ჩიხს და სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩის I შესახვევს** ეწოდოს ტრიფონ სულაკაძის სახელი (დანართი საკადასტრო რუკის სახით თან ერთვის)“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2021 წლის 24 სექტემბრის №89 განკარგულების
დანართი №1

სიტუაციური ნახაზი



სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა UTM WGS 38N

წითლად დაშტრიხულია სოფელ ქვედა მესხეთის მე-12 ქუჩა

მისამართი	წყალტუბო, სოფელი ქვედა მესხეთი	გზის სიგრძე: 1257 მ.
დანიშნულება	სასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე მ. ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე მ. ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი რ.
		ი/მ „ზაზა ერბელიძე“ მის.: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. №25; ტელ. 591196719
		საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი: ზაზა ერბელიძე
		დაინტერესებული პირი
		თარიღი: 21.09.2021

პირობითი აღნიშვნები:

- წერტილი
- ნაკვეთის ფიქსირებული საზღვარი
- ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი
- ვალდებულება

შენობა ნაგებობა

მდგომარეობა

- აშენებული
- დანგრეული/ნანგრევი
- მშენებარე
- მიწისქვეშა
- ხაზობრივა ნაგებობა
- ხაზობრივა ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი

შენიშვნა: ნაკვეთის საზღვრები მითითებულია დამკვეთის მიერ